RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი: შესაძლებლობები და ბარიერები

ნინო ჩანადირი

178

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნინო ჩანადირი

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი: შესაძლებლობები და ბარიერები

178

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები ათწლეულების მანძილზე იყო დაძაბული, რაც უკავშირდებოდა როგორც ისტორიულ პრობლემებს ორ ქვეყანას შორის, ისე თანამედროვე რეგიონულ გამოწვევებს. თურქეთის უარი პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი მკვლელობის გენოციდად[1] აღიარებაზე დიდი ხანია იქცა მნიშვნელოვან დაბრკოლებად ორმხრივ ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა 1990-იან წლებში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის ომის დროს. სომხეთის მიერ ყარაბაღის გარშემო ტერიტორიების აღების პასუხად და მოკავშირე აზერბაიჯანის მხარდასაჭერად 1993 წელს თურქეთმა სომხეთთან საზღვარი ჩაკეტა.[2] ურთიერთობის ნორმალიზაციის მცდელობებს წინა ათწლეულებში ნაყოფიერი შედეგი არ გამოუღია და ამ ორ ქვეყანას თითქმის 30 წლის მანძილზე დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები არ ჰქონია.

2020 წელს აზერბაიჯანმა, ყარაბაღის მეორე ომის შედეგად, ტერიტორიის დიდ ნაწილზე, რომელზეც ის პრეტენზიას აცხადებდა, კონტროლი დაიბრუნა. შესაბამისად, თურქეთის პოზიციამ „სომხურ ოკუპაციასთან“ დაკავშირებით აქტუალობა დაკარგა. ომმა რეგიონში რეალობა ფუნდამენტურად შეცვალა და გამოიკვეთა საჭიროება, რომ გადაიდგას ის პოლიტიკური ნაბიჯები, რაც დაეხმარება ქვეყნებს ადაპტირდნენ ახალ გარემოებებთან. ეს აისახა სომხეთსა და თურქეთს შორის ორმხრივ ურთიერთობებზე.

უკანასკნელ თვეებში ორმხრივი ურთიერთობების მოსაგვარებლად პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. 2021 წლის დეკემბერში თურქეთმა და სომხეთმა მიავლინეს სპეციალური წარმომადგენლები - თურქი დიპლომატი სერდარ კილიჩი და სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუბინ რუბინიანი, რათა დაწყებულიყო მოლაპარაკებები ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ.[3] დეკემბრის შემდეგ ისინი ერთმანეთს მოსკოვსა და ვენაში შეხვდნენ. პირველი ორი შეხვედრის შედეგად, რომლებიც კონსტრუქციულ ატმოსფეროში გაიმართა, მხარეებმა გამოხატეს მზადყოფნა ნორმალიზაციის პროცესში ჩასართავად, „წინაპირობების გარეშე“, და განაცხადეს, რომ საბოლოო მიზანი ურთიერთობათა სრული ნორმალიზაციაა.

მოლაპარაკებების პარალელურად კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. სომხეთმა მოხსნა ემბარგო თურქულ საქონელზე, რომელიც ქვეყანამ 2020 წელს, ყარაბაღის ომის დროს, დააწესა თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის დახმარების საპასუხოდ. გადაწყვეტილება ემბარგოს მოხსნასთან დაკავშირებით მიზნად ისახავდა სომხური პროდუქციის ექსპორტისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რადგან მოსალოდნელია, რომ თურქეთიც იმავე გზას აირჩევს სავაჭრო კავშირების მხარდასაჭერად.[4] ორმა ქვეყანამ ნორმალიზაციის პროცესის ფარგლებში ასევე დაუშვა ჩარტერული ფრენა სტამბოლსა და ერევანს შორის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნორმალიზაციის პროცესმა გააჩინა იმედი, რომ თუ პროცესი გაგრძელდება და მხარეები შეინარჩუნებენ კონსტრუქციულ ხედვას, მომავალში ორ ქვეყანას შორის საზღვარი გაიხსნება.[5] 2022 წლის მარტში, ანტალიის დიპლომატიური ფორუმის დროს, რომელიც თურქეთის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების

შეხვედრასაც მოიცავდა, მხარეებმა გამოთქვეს პოზიტიური დამოკიდებულება ნორმალიზაციის პროცესთან დაკავშირებით და გამოხატეს მხარდაჭერა ქვეყნების მცდელობების მიმართ, ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას რეგიონში.[6]

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ტრანსფორმაციას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობასა და სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში, რეგიონში, რომელსაც კონფლიქტების ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესზე საუბრისას მნიშვნელოვანია ფართო კონტექსტის გათვალისწინებაც. საჭიროა წარსული გამოცდილების მხედველობაში მიღება, სხვა რეგიონული აქტორების პერსპექტივების გათვალისწინება, ისეთის, როგორიცაა აზერბაიჯანი, რომლის ჩართულობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მოლაპარაკებების წარმატებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ის ბარიერები, რომლებიც რჩება ორმხრივ ურთიერთობებში და შესაძლოა პროცესისთვის გამოწვევად იქცეს.

ისტორიული კონტექსტი და წინა მცდელობები

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორმხრივ ურთიერთობებზე დიდი ხნის განმავლობაში გავლენას ახდენდა ისეთი ისტორიული საკითხები, როგორიც იყო ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის დროს. პირველი მსოფლიო ომის პარალელურად, 1915 წლიდან, ოსმალთა ხელისუფლებამ დაიწყო სომხური მოსახლეობის დეპორტაცია იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილიდან, რადგან შიშობდნენ, რომ ომის პირობებში მტერი შეეცდებოდა ქრისტიანი სომხური მოსახლეობის გამოყენებას ოსმალთა წინააღმდეგ. სომხური მოსახლეობის გადასახლებას თან ახლდა მასობრივი ძალადობა. დღეს სომხები მიიჩნევენ, რომ გადასახლების დროს დახოცეს მილიონზე მეტი სომეხი. სომხები ამას გენოციდს უწოდებენ და მოითხოვენ თურქეთმაც ამავე ტერმინით აღიაროს ეს ისტორიული მოვლენა.[7]

თურქეთის მთავრობა სომეხთა მასობრივი დახოცვის ფაქტს არ უარყოფს. 2014 წლის აპრილში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და თურქეთის ახლანდელმა პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ეს ტრაგიკული ისტორიული მოვლენა შეაფასა, როგორც „არაჰუმანური“ და მიუსამძიმრა მათ შთამომავლებს, ვინც მოვლენების დროს დაიღუპა.[8] თუმცა, ამასთან, თურქეთი უარს ამბობს მოვლენების გენოციდად აღიარებაზე და მიიჩნევს, რომ ეს იყო პირველი მსოფლიო ომის კომპლექსური და ტურბულენტური კონტექსტის შედეგი. თურქეთი უარყოფს, რომ მკვლელობას სისტემური და ორგანიზებული სახე ჰქონდა და აცხადებს, რომ ამ ტურბულენტურ დროს სიცოცხლეს იმპერიაში მცხოვრები ბევრი მუსლიმიც გამოესალმა. სომეხთა გენოციდის აღიარებაზე თურქეთის უარი კვლავაც მნიშვნელოვნად მოქმედებს სომხეთ-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობების საზოგადოებრივ აღქმაზე.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ერთადერთი საკითხი, რომელიც ათწლეულებია ქვეყნებს შორის დაძაბულობას იწვევს. თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების გაუარესების მიზეზი 1990-იან წლებში სომხეთსა და

აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის ომი გახდა. თურქეთი აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. ორი ქვეყნის თანამშრომლობას ფესვები საერთო ისტორიაში, კულტურასა და ენაში აქვს. ორივე ქვეყანა ეთანხმება და აფასებს კონცეფციას „ერთი ერის, ორი ქვეყნის" შესახებ, რომელიც წლების განმავლობაში ძლიერდებოდა მჭიდრო სავაჭრო, ენერგო და სამხედრო ურთიერთობებით.[9] როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთმა 1993 წელს დაკეტა საზღვარი სომხეთთან, სომხეთის მიერ ყარაბაღის გარშემო იმ შვიდი რაიონის დაკავების პასუხად, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობაც აზერბაიჯანელები იყვნენ.

თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა აზერბაიჯანის პოზიციას მთიან ყარაბაღსა და გარშემო ტერიტორიებთან დაკავშირებით. თურქეთი წლების განმავლობაში ეხმარებოდა აზერბაიჯანის არმიას ნატოს სტანდარტებით სამხედრო წვრთნებში.[10] თურქეთის მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დონეზე, განსაკუთრებით მკაფიო გახდა ყარაბაღის მეორე ომის დროს, სადაც ამ მხარდაჭერამ დიდი როლი შეასრულა 2020 წელს აზერბაიჯანის გამარჯვებაში. გაწვრთნილი არმია და მიწოდებული იარაღი, თურქული დრონების ჩათვლით, დაეხმარა აზერბაიჯანს 44-დღიან ომში, რომელიც სომხეთისთვის იმ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვით დასრულდა, რომლებსაც აზერბაიჯანი და თურქეთი ოკუპირებულად მიიჩნევდნენ.

აღნიშნული ისტორიული და თანამედროვე მოვლენები მნიშვნელოვანია სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის განხილვისას. როგორც შერიგების მცდელობის გამოცდილება აჩვენებს, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ნორმალიზაციის პროცესის წარმატებაზე. 2008-2009 წლებში იყო სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების აღდგენის მცდელობა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა სომხეთში გააჩინა იმპულსი, რომ გადაეხედათ საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისთვის და შეეფასებინათ მდგომარეობა თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან ბლოკადაში დარჩენასთან დაკავშირებით. რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაზიანებამ საფრთხეში ჩააგდო სომხეთის შესაძლებლობა, რომ რუსეთთან სავაჭრო გზად გამოეყენებინა საქართველო და ამით გაძლიერდა სომხეთის ინტერესი გაეუმჯობესებინა პოზიცია თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყების გზით. 2008 წელს სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გული ერევანში ეროვნულ გუნდებს შორის თამაშის სანახავად მიიწვია. ეს ე.წ. „ფეხბურთის დიპლომატია" გაგრძელდა შემდგომი მოლაპარაკებებით ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ.[11] მოლაპარაკებებს ორგანიზებას უწევდა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროცესში მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობებს, მოახდენდნენ ურთიერთობათა ნორმალიზაციას, გახსნიდნენ საზღვარს და ჩამოაყალიბებდნენ ექსპერტთა სპეციალურ კომისიას ურთიერთობათა ისტორიული ასპექტების შესასწავლად.[12] 2009 წლის 10 ოქტომბერს თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ციურიხის პროტოკოლებს. სამწუხაროდ, პროტოკოლების რატიფიცირება არასოდეს მომხდარა და დიპლომატიურ პროცესს არც რაიმე პრაქტიკული შედეგი მოუტანია.

მართალია, ორივე მხრიდან არსებობდა სურვილი, რომ მომხდარიყო ურთიერთობათა ნორმალიზაცია, მაგრამ დიპლომატიური პროცესის წარმატებაზე გავლენა რამდენიმე ფაქტორმა იქონია. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ამ პროცესით აზერბაიჯანის უკმაყოფილება. თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ახლო ურთიერთობების გათვალისწინებით, აზერბაიჯანის პოზიცია დიდ გავლენას ახდენდა პროცესზე. ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ აზერბაიჯანი მხარს უჭერდა სომხეთის იზოლაციას, რადგან ამას შეეძლო ქვეყნის ეკონომიკურად დასუსტება, რაც ხელს შეუწყობდა სომხეთის სურვილს, წასულიყო კომპრომისზე ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით. თურქეთთან ურთიერთობების აღდგენას შეიძლებოდა ხელი შეეშალა ამ შესაძლებლობისთვის. შესაბამისად, აზერბაიჯანს ჰქონდა მიზეზი გაეზარდა ზეწოლა ანკარაზე და შეეცვალა მისი გეგმები სომხეთთან ურთიერთობის დათბობის მიმართულებით.[13]

მეორე მხრივ, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ 2008-2009 წლების ნორმალიზაციის პროცესის წარუმატებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ვერ მოხერხდა სწორი გათვლა, პროცესი მთლიანად დაეფუძნა დიპლომატიურ მცდელობას, პარალელურად კი ვერ მოხდა საზოგადოებების სათანადოდ მომზადება ურთიერთპატივისცემისა და ნდობის აღსადგენად, რადგან ძველი მტრობა გავლენას ახდენდა საზოგადოებების აღქმაზე.[14]

ახალი შესაძლებლობები

2009 წლის შემდეგ სიტუაცია რეგიონში მნიშვნელოვნად შეიცვალა ორივე მთავარი აქტორისთვის - თურქეთისა და სომხეთისთვის, ასევე - აზერბაიჯანისთვის, რომლის პოზიციასაც წინათ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების განსაზღვრის კონტექსტში. უფრო კონკრეტულად, 2020 წელს ყარაბაღის მეორე ომმა და აზერბაიჯანის წარმატებამ ფუნდამენტურად შეცვალა რეალობა რეგიონში და თურქეთის ადრინდელი პოზიცია და მიზეზი სომხეთთან საზღვრის დაკეტვასთან დაკავშირებით არარელევანტური გახადა. მეორე მხრივ, სომხეთის დამარცხებამ და დანაკარგებმა გაზარდა ქვეყნის დაუცველობა, რამაც მეზობლებთან ურთიერთობებში სწრაფი ცვლილების საჭიროება შექმნა, რათა მომხდარიყო ადაპტაცია ომის შემდგომ ვითარებასთან და გაზრდილიყო სტაბილურობის შესაძლებლობა.

ცვლილებები თვალსაჩინო გახდა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მიმართ აზერბაიჯანის პოზიციაშიც. როგორც გამოცდილება აჩვენებს, აზერბაიჯანის თანხმობა მნიშვნელოვანია თურქეთისთვის. ახლა, როდესაც აზერბაიჯანის და თურქეთის თანამშრომლობა ძალიან მჭიდროა და აზერბაიჯანმა ომი მოიგო, მან თავადაც დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი სომხეთთან. აზერბაიჯანის ოფიციალური წარმომადგენლები ღიად უჭერენ მხარს სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს და როგორც ამას ხშირად ამბობენ ანკარაში, ბაქოს პოზიცია „მნიშვნელოვანია თურქეთში საჯარო აზრისთვის“.[15]

გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლებიც ყარაბაღის მეორე ომს მოჰყვა, თურქეთსა და სომხეთში ურთიერთობების გაუმჯობესების საჭიროება და შესაბამისი სურვილი გააჩინა. ყველაზე ხშირად განიხილება ეკონომიკური სარგებელი, რომელიც სომხეთისთვის შესაძლოა მოჰყვეს ურთიერთობათა ნორმალიზაციის წარმატებულ პროცესს. ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შედეგი ექნება საზღვრის გახსნას და სავაჭრო გზებზე ბლოკირების მოხსნას. ეს მისცემს შესაძლებლობას ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს დაამყარონ კავშირები.[16] სომხეთის შემთხვევაში, თურქეთთან სავაჭრო კავშირების გაძლიერებამ შესაძლოა შეამციროს ქვეყნის დამოკიდებულება რუსეთზე. 2020 წლის რუსეთი სომხეთისათვის ომში არცთუ ისე სანდო პარტნიორი გამოდგა. რეგიონული იზოლაციის დასრულება სომხეთისათვის შანსია ადაპტირდეს ომის შემდგომ რეალობასთან. უკეთეს რეგიონულ ინტეგრაციას და თურქეთთან კავშირების გაუმჯობესებას შეუძლია დაეხმაროს ქვეყანას მასზე რუსეთის გავლენის შემცირებაში.

რუსული ფაქტორი რეგიონში თურქეთისათვის შესაძლოა ახლა ისეთი მნიშვნელოვანი იყოს, როგორც არასდროს, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის „უკრაინულ ავანტიურას“ და მის შედეგებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღის ომის შემდეგ თურქეთს და აზერბაიჯანს მოიხსენიებენ, როგორც გამარჯვებულ აქტორებს, გამარჯვება თურქეთისთვის არც ისე ცალსახაა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. რუსეთის სამშვიდობო მისიამ ომის შემდეგ მას საშუალება მისცა გაეზარდა გავლენა რეგიონში. მან ასევე წარმატებით შეძლო თურქეთის იზოლირება რეგიონული სატრანსპორტო და სავაჭრო გზების განბლოკვის კომისიიდან, რომელიც 2021 წლის იანვარში შექმნეს რუსეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა.[17] სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი თურქეთმა შეიძლება სასარგებლოდ აღიქვას, რადგან ეს მას საშუალებას მისცემს, დააბალანსოს რუსეთი ომის შემდგომ სამხრეთკავკასიურ რეგიონულ კონფიგურაციაში და, როგორც ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, „მაგიდასთან ადგილი მოიპოვოს“.[18]

თურქეთის მიზანი, დააბალანსოს რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით რელევანტური ხდება უკრაინაში რუსეთის ომის პარალელურად, რომელსაც უკვე აქვს გავლენა სიტუაციაზე მთიან ყარაბაღში. გავრცელდა ცნობები რუსული სამშვიდობო ძალების ნაწილის გაყვანაზე ყარაბაღიდან, უკრაინაში ომის პარალელურად, სადაც რუსეთმა სწრაფ წარმატებას ვერ მიაღწია და რამაც კრიზისი გამოიწვია რუსეთის სამხედრო ძალებში. ამავდროულად, აზერბაიჯანში სამხედრო ექსპერტები გამოხატავენ უკმაყოფილებას რუსული სამშვიდობო მისიის მიმართ, რომელმაც ვერ უზრუნველყო რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის სტაბილურობა. როგორც ცნობილია, პერიოდულად კვლავაც ხდება აზერბაიჯანულ და სომხურ ძალებს შორის შეტაკებები.[19] მოსალოდნელია, რომ რუსეთისთვის დაწესებული უპრეცედენტო სანქციები და იზოლაცია გავლენას მოახდენს რუსეთზე გრძელვადიან პერსპექტივაში და შეასუსტებს მის შესაძლებლობას შეინარჩუნოს ძლიერი გავლენა საგარეო ასპარეზზე. აღნიშნული, აზერბაიჯანის გაზრდილ უკმაყოფილებასთან

ერთად, კიდევ ერთ იმპულსს აძლევს თურქეთს, რომ მეტი ენთუზიაზმით მოეკიდოს სომხეთთან ურთიერთობის გამოსწორების პროცესს, რათა გაიუმჯობესოს პოზიცია რეგიონში მაშინ, როდესაც იზრდება შესაძლებლობა, რომ მომავალში შემცირდეს რუსეთის გავლენა.

ბარიერები

ახალი რეალობა და ცვალებადი გეოპოლიტიკური გარემო, ასევე პოზიტიური ნაბიჯები იმედს აჩენს, რომ თურქეთისა და სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციას წარმატება ექნება. ამასთან, არის რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია გავლენა მოახდინოს დიპლომატიური პროცესის წარმატებაზე.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ყარაბაღში არსებული ჯერ კიდევ ძალიან მყიფე სიტუაცია და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პერიოდული დაპირისპირება. მაგალითისთვის, 2021 წლის ნოემბრის ინციდენტის მსგავსი შემთხვევები(რომელიც მოიცავდა მძიმებრძოლას სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე და გამოიწვია მსხვერპლი)[20] სერიოზულ გამოწვევას უქმნის ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმდინარე პროცესს. 2022 წლის მარტის მიწურულს ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა და ყარაბაღში სამხედრო მდგომარეობაც კი გამოცხადდა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა და სომხეთმა განაცხადეს, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ძალები შევიდნენ რუსული სამშვიდობო მისიის კონტროლირებად ზონაში და სოფელ ფარუხს შეუტიეს. რუსეთმა აზერბაიჯანს ძალების გაყვანისაკენ მოუწოდა. საპასუხოდ აზერბაიჯანულმა მხარემ მოვლენას უწოდა „დაუყოვნებელი ზომა“ სომხური ძალების საბოტაჟის წინააღმდეგ და რუსეთის განცხადება შეაფასა, როგორც „ცალმხრივი“.[21] ვითარების კიდევ უფრო გაუარესებას შეუძლია გავლენა მოახდინოს აზერბაიჯანის პოზიციაზე თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, რაც მოსალოდნელია აისახოს ანკარის შეხედულებებზეც.

კიდევ ერთი დაბრკოლება შეიძლება იყოს საზოგადოებრივი აზრი სომხეთში. როგორც ითქვა, მხარეები შეთანხმდნენ ნორმალიზაციაზე „წინაპირობების გარეშე“. თუმცა, წინაპირობების არარსებობა შესაძლოა სომხეთში ბევრისთვის მისაღები არ აღმოჩნდეს. ბოლო გამოკითხვების მიხედვით, სომხეთის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციას, 44% კი წინააღმდეგი რჩება.[22] უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული საკითხები, როგორიცაა თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება, კვლავაც მნიშვნელოვან საკითხად რჩება სომხეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის. დამატებით, გამოკითხვები აჩვენებს, რომ სომხეთის მოსახლეობის 70% მიიჩნევს, რომ სომხეთმა უნდა წარადგინოს საკუთარი წინაპირობები, მაგალითად, როგორიცაა თურქეთის მხრიდან ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში არ ჩართვა. სომხები თურქეთს კვლავაც უსაფრთხოების ყველაზე დიდ გამოწვევად განიხილავენ. აღნიშნული კომპლექსური შეხედულებები და დამატებით თურქეთის მხრიდან ომის დროს აზერბაიჯანის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის გამოცდილება გამოწვევაა ნორმალიზაციის პროცესისთვის. ყარაბაღის საკითხის სიმყიფის გამო

ვითარების გამწვავების შემთხვევაში, შესაძლოა შემცირდეს ნორმალიზაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა, რადგან მოსალოდნელია, რომ თუ ეს სცენარი განვითარდება, იმძლავრებს თურქული საფრთხის შესახებ წარმოდგენები.

მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული რუსული ფაქტორიც, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა თურქეთს და სომხეთს მოლაპარაკების პროცესში მხარდაჭერა შესთავაზა და პირველი შეხვედრაც მოსკოვში გაიმართა, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. რადგანაც მოსკოვი უნდა ხედავდეს, რომ უკრაინაში ომი მნიშვნელოვნად დაასუსტებს მას ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით და შესაძლოა შეამციროს მისი გავლენა საგარეო ასპარეზზე, მან შეიძლება სცადოს გავლენა მოახდინოს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესზე, თუ ამ პროცესს რეგიონში თავისი ინტერესების საზიანოდ აღიქვამს. ეს პოტენციურად შესაძლებელია, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ თურქეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, აქტიურად უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, აკრიტიკებს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და უკრაინის არმიას აწვდის თურქულ დრონებს, რომლებიც მნიშვნელოვანი გამოდგა უკრაინისთვის აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასკვნა

ამრიგად, ყარაბაღის მეორე ომი, ცვალებადი გეოპოლიტიკური ვითარება, პოლიტიკური საჭიროება და მონაწილე მხარეების სურვილი შესაძლებელს ხდის ამჯერად წარმატებით წარიმართოს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი. გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები და ორივე მხრიდან გაიგზავნა პოზიტიური მესიჯები. აზერბაიჯანის დადებითი პოზიცია, რომლის შეხედულებამაც ადრე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესზე, წარმატების იმედს იძლევა და ჩნდება მოლოდინი, რომ ბოლოს დიდი ხნის დაკეტილი საზღვარიც გაიხსნება. თუმცა, პრობლემურ საკითხებს, ისტორიულსაც და თანამედროვესაც, ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვთ ორმხრივ ურთიერთობებზე და შესაძლოა გამოწვევად იქცეს პროცესისთვის. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთიანი ყარაბაღის საკითხის სიმყიფე და უკრაინაში ომი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი კომპლექსურია და ჯერ კიდევ მოწყვლადია გამოწვევების მიმართ. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა მხარეს მოეთხოვება გადადგას ფრთხილი და კონსტრუქციული ნაბიჯები, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პოზიტიურად განვითარდეს.

შენიშვნები

1. შენიშვნა: საქართველოს ეს მოვლენა ოფიციალურად არ აქვს აღიარებული გენოციდად.
2. Jacob Resneck, "Ghosts of the past haunt Turkish-Armenian border", Deutsche Welle, April 23, 2015 https://www.dw.com/en/ghosts-of-the-past-haunt-turkish-armenian-border/a-18395546
3. "Turkey, Armenia to mutually appoint envoys to normalize relations", Daily Sabah, December 13, 2021 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-armenia-to-mutually-appoint-envoys-to-normalize-relations
4. "Armenia lifts ban on import of Turkish goods", Radio Liberty, December 30, 2021 https://www.rferl.org/a/armenia-lifts-ban-turkish-goods/31633546.html
5. "Turkey, Armenia hold 2nd diplomatic talks aimed at normalization", Daily Sabah, February 24, 2022 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-armenia-hold-2nd-diplomatic-talks-aimed-at-normalization
6. Merve Aydogan, "Turkish, Armenian foreign ministers hold 'fruitful, constructive meeting", Anadolu Agency, March 12, 2022 https://www.aa.com.tr/en/antalya-diplomacy-forum-2022/turkish-armenian-foreign-ministers-hold-fruitful-constructive-meeting/2532822
7. Fiona Hill, Kemal Kirişci and Andrew Moffatt, "Armenia and Turkey: From normalization to reconciliation", Turkish Policy Quarterly, Volume 13 No 4, Winter 2015, p 128
8. "Turkey offers condolences to Armenia over WWI killings", BBC News, April 23, 2014 https://www.bbc.com/news/world-europe-27131543
9. Taras Kuzio, "One nation two states, Turkey and Azerbaijan: Op-ed", Hurriet Daily News, November 8, 2021 https://www.hurriyetdailynews.com/one-nation-two-states-turkey-and-azerbaijan-op-ed-169194
10. Haldun Yalçınkaya, "Turkey's overlooked role in the second Nagorno-Karabakh war", The German Marshall Fund of the United States, January 21, 2021 https://www.gmfus.org/news/turkeys-overlooked-role-second-nagorno-karabakh-war
11. Fiona Hill, Kemal Kirişci and Andrew Moffatt, "Armenia and Turkey: From normalization to reconciliation", Turkish Policy Quarterly, Volume 13 No 4, Winter 2015, p 131
12. David L. Phillips, "Swiss Mediation" in *Diplomatic History: The Turkey-Armenia Protocol,* Institute for the Study of Human Rights, New York, March 2012, p 30-31
13. Sergey Minasyan, "Prospects for Normalization between Armenia and Turkey: A View from Yerevan", Insight Turkey, Volume 12 No 2, Spring 2010, p 23
14. "Armenia–Turkey Protocols: One Year On", Carnegie Europe, October 6, 2010 https://carnegieeurope.eu/2010/10/06/armenia-turkey-protocols-one-year-on-event-3050
15. "Neighbors' support vital in Turkey, Armenia normalization", Daily Sabah, January 17, 2022 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/neighbors-support-vital-in-turkey-armenia-normalization
16. Asli Aydıntaşbaş and Richard Giragosian, "Acts of normality: the potential for Turkey-Armenia rapprochement", European Council on Foreign Relations, March 2022, p 3
17. Thomas De Waal, "In the South Caucasus, can new trade routes help overcome a history of conflict?" Carnegie Europe, November 8, 2021 https://carnegieeurope.eu/2021/11/08/in-south-caucasus-can-new-trade-routes-help-overcome-history-of-conflict-pub-85729
18. Liz Cookman, "Are frosty relations between Turkey and Armenia thawing?", Aljazeera, September 1, 2021 https://www.aljazeera.com/news/2021/9/1/are-frosty-relations-between-turkey-and-armenia-thawing?fbclid=IwAR2GIt1GB7RnNp_ZQ6NGDJLS6scwVffxMWEQSS-T-7bcA6MYc0u7jhIBcas
19. "Tensions grow between Armenia and Azerbaijan over Karabakh", Caucasuswatch, March 10, 2022 https://caucasuswatch.de/news/5001.html
20. "Worst fighting since end of second Nagorno-Karabakh war", OC Media, November 16, 2021 https://oc-media.org/worst-fighting-since-end-of-second-nagorno-karabakh-war/?fbclid=IwAR0yZw4FcIpBWzs2g2wqJL1jQ_vjYCsjOsGW8nzlLhGfiKk3ysexCaX9NoI
21. "Russia says Azerbaijan enters peacekeepers' zone in Nagorno-Karabakh, Baku denies it", Reuters, March 26, 2022 https://www.reuters.com/world/russia-says-azerbaijan-enters-russian-peacekeepers-zone-nagorno-karabakh-2022-03-26/
22. Public opinion survey: residents of Armenia, International Republican Institute, January 31, 2022 https://www.iri.org/resources/public-opinion-surveyresidents-of-armenia/

ბიბლიოგრაფია

- Aydıntaşbaş, Asli and Giragosian, Richard. "Acts of normality: the potential for Turkey-Armenia rapprochement". European Council on Foreign Relations, March 2022
- Aydogan, Merve. "Turkish, Armenian foreign ministers hold 'fruitful, constructive meeting". Anadolu Agency, March 12, 2022 https://www.aa.com.tr/en/antalya-diplomacy-forum-2022/turkish-armenian-foreign-ministers-hold-fruitful-constructive-meeting/2532822
- Cookman, Liz. "Are frosty relations between Turkey and Armenia thawing?". Aljazeera, September 1, 2021 https://www.aljazeera.com/news/2021/9/1/are-frosty-relations-between-turkey-and-armenia-thawing?fbclid=IwAR2GIt1GB7RnNp_ZQ6NGDJLS6scwVffxMWEQSS-T-7bcA6MYc0u7jhIBcas
- De Waal, Thomas. "In the South Caucasus, can new trade routes help overcome a history of conflict?". Carnegie Europe, November 8, 2021 https://carnegieeurope.eu/2021/11/08/in-south-caucasus-can-new-trade-routes-help-overcome-history-of-conflict-pub-85729
- Hill, Fiona, Kirişci, Kemal and Moffatt, Andrew. "Armenia and Turkey: From normalization to reconciliation". Turkish Policy Quarterly, Volume 13 No 4, Winter 2015
- Kuzio, Taras. "One nation two states, Turkey and Azerbaijan: Op-ed**".** Hurriet Daily News, November 8, 2021 https://www.hurriyetdailynews.com/one-nation-two-states-turkey-and-azerbaijan-op-ed-169194
- Minasyan, Sergey. "Prospects for Normalization between Armenia and Turkey: A View from Yerevan". Insight Turkey, Volume 12 No 2, Spring 2010
- Phillips, David L. "Swiss Mediation". In *Diplomatic History: The Turkey-Armenia Protocol,* Institute for the Study of Human Rights, New York, March 2012
- Resneck, Jacob. "Ghosts of the past haunt Turkish-Armenian border". Deutsche Welle, April 23, 2015 https://www.dw.com/en/ghosts-of-the-past-haunt-turkish-armenian-border/a-18395546
- Yalçınkaya, Haldun. "Turkey's overlooked role in the second Nagorno-Karabakh war". The German Marshall Fund of the United States, January 21, 2021 https://www.gmfus.org/news/turkeys-overlooked-role-second-nagorno-karabakh-war
- "Armenia–Turkey Protocols: One Year On". Carnegie Europe, October 6, 2010 https://carnegieeurope.eu/2010/10/06/armenia-turkey-protocols-one-year-on-event-3050
- "Turkey offers condolences to Armenia over WWI killings". BBC News, April 23, 2014 h ttps://www.bbc.com/news/world-europe-27131543
- "Worst fighting since end of second Nagorno-Karabakh war". OC Media, November 16, 2021 https://oc-media.org/worst-fighting-since-end-of-second-nagorno-karabakh-war/?fbclid=IwAR0yZw4FcIpBWzs2g2wqJL1jQ_vjYCsjOsGW8nzlLhGfiKk3ysexCaX9NoI
- "Turkey, Armenia to mutually appoint envoys to normalize relations". Daily Sabah, December 13, 2021 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-armenia-to-mutually-appoint-envoys-to-normalize-relations
- "Armenia lifts ban on import of Turkish goods". Radio Liberty, December 30, 2021 https://www.rferl.org/a/armenia-lifts-ban-turkish-goods/31633546.html
- "Neighbors' support vital in Turkey, Armenia normalization". Daily Sabah, January 17, 2022 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/neighbors-support-vital-in-turkey-armenia-normalization
- Public opinion survey: residents of Armenia, International Republican Institute, January 31, 2022 https://www.iri.org/resources/public-opinion-surveyresidents-of-armenia/
- "Turkey, Armenia hold 2nd diplomatic talks aimed at normalization". Daily Sabah, February 24, 2022 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-armenia-hold-2nd-diplomatic-talks-aimed-at-normalization
- "Tensions grow between Armenia and Azerbaijan over Karabakh". Caucasuswatch, March 10, 2022 https://caucasuswatch.de/news/5001.html
- "Russia says Azerbaijan enters peacekeepers' zone in Nagorno-Karabakh, Baku denies it", Reuters, March 26, 2022 https://www.reuters.com/world/russia-says-azerbaijan-enters-russian-peacekeepers-zone-nagorno-karabakh-2022-03-26/